

სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო კომპონენტების სტანდარტი

1. რეგულირების სფერო

წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს სადოქტორო პროგრამის კომპონენტების დისერტაციისა და კოლოკიუმის ორგანიზაციულ საკითხებს, განსაზღვრავს ამ კომპონენტების მიზნებს, შედეგებს, შეფასების სისტემას.

2. სადოქტორო დისერტაცია – მოთხოვნები, მიზნები და შედეგები

1. სადოქტორო დისერტაცია, როგორც საკვალიფიკაციო სამეცნიერო ნაშრომი, ასახავს დოქტორანტის მიერ ჩატარებული ორიგინალური კვლევის შედეგებს, რომლითაც ვლინდება ავტორის ცოდნის ფართო დიაპაზონი და მეცნიერული კვლევის უნარი. დისერტაცია უნდა შეიცავდეს მეცნიერულად დასაბუთებული თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის შედეგებს – მიგნებებს/მეცნიერულ სიახლეს, რომელიც საფუძველს იძლევა ახალი ცოდნის გენერირებისა და დარგის შემდგომი განვითარებისათვის, თეორიული და/ან პრაქტიკული მიმართულებით იწვევს საერთაშორისო და ადგილობრივი რეფერირებადი გამოცემის ინტერესს.
2. დისერტაციას აქვს თავისი სტრუქტურა, რომლის დაცვა სავალდებულოა (იხ. დანართი 1).
3. დისერტაციაზე მუშაობა იწყება მეორე აკადემიური წლიდან – სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ.
4. დოქტორანტი მეცნიერ-ხელმძღვანელთან მუშაობს ინდივიდუალური ფორმატით, არანაკლებ თვეში ერთხელ, სამუშაო შეხვედრის ფარგლებში.

2. დისერტაციის, როგორც კომპონენტის, სტრუქტურა

დისერტაცია, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტი, 4 ნაწილად იყოფა: დისერტაციის მომზადება-1, დისერტაციის მომზადება-2, დისერტაციის მომზადება-3, დისერტაციის მომზადება და დაცვა. თითოეულ ნაწილს მინიჭებული აქვს კრედიტი და ხორციელდება სემესტრების მიხედვით.

1. დისერტაციის მომზადება-1, კრედიტი - 15, სასწავლო კვირა - 19.

მიზანია:

- დოქტორანტმა ღრმად გაიაზროს საკვლევი თემის პრობლემატიკა და ეთიკური ასპექტი.
- ჩამოაყალიბოს დისერტაციის სტრუქტურა და განსაზღვროს მისი კონცეპტუალური საფუძველები.

დოქტორანტმა უნდა შეძლოს:

- ა) საკვლევი თემის მეცნიერული, ისტორიულ-სოციალური თუ კულტურულ-პოლიტიკური კონტექსტის ანალიზი, შესაბამისად, საკვლევი პრობლემის გამოკვეთა, მისი აქტუალობის დასაბუთება, კვლევის მიზნისა და ჰიპოთეზის განსაზღვრა;
- ბ) საკვლევი თემატიკის შესახებ არსებული ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურის/ინფორმაციის წყაროების მოძიება, მასში აკუმულირებული ცოდნის კრიტიკულად გააზრება, სტრუქტურირება და გაცნობიერება, შესაბამისად, ცოდნის არეალის გაფართოვება და, ამ კონტექსტში, არსებული ცოდნის ახლებურად გააზრება/გაცნობიერება;
- გ) კვლევის ინტერდისციპლინარული ასპექტის დამუშავება;
- დ) კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა.

შეფასება:

- > შუალედური შეფასება (60%) მოიცავს – პროსპექტუსის წარდგენას და დაცვას სკოლის დეკანის მიერ შექმნილი კომისიის მიერ (შეფასების კრიტერიუმები თან ერთვის).
- > დასკვნით შეფასებას (40%) ატარებს უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს ბიურო და ეფუძნება დოქტორანტის თვითშეფასება-ანგარიშს და მეცნიერ-ხელმძღვანელის შეფასება-ანგარიშს (შეფასების კრიტერიუმები თან ერთვის).

2. დისერტაციის მომზადება–2. კრედიტი – 25, სასწავლო კვირა – 19.

მიზანია:

- > დოქტორანტმა გეგმის მიხედვით ჩაატაროს კვლევითი სამუშაო და აღწეროს ამ კვლევის შედეგები.

დოქტორანტმა უნდა შეძლოს:

- ა) კვლევის მეთოდოლოგიური აპარატის მიზანშეწონილობის დასაბუთება ეთიკისა და ეფექტურობის ნიშნით;
- ბ) კვლევის მეთოდების რელევანტურობის დასაბუთება დასმულ ჰიპოთეზასთან მიმართებით;
- გ) გამოყენებული კვლევის მეთოდების განმარტება და პროცედურის დეტალური აღწერა;
- დ) კვლევითი სამუშაოს შესრულება მის მიერვე განსაზღვრული მეთოდოლოგიური აპარატის გამოყენებით;

- ე) კვლევის პროცესის ობიექტური შეფასება, კორექტირება, ახალი მიდგომებისა თუ მეთოდების შემუშავება;
- ვ) კვლევის შედეგების აღწერა;
- ზ) საკუთარი აზრის დასაბუთებულად და გასაგებად წარდგენა აკადემიური/სამეცნიერო საზოგადოების წინაშე, დასმულ კითხვებზე დამაჯერებელი, ლაკონური, და ამომწურავი პასუხების გაცემა, შენიშვნების, სხვისი აზრის კრიტიკულად განხილვა და გათვალისწინება;

შეფასება:

- > შუალედური შეფასება (60%) მოიცავს – კვლევის მეთოდოლოგიური აპარატის წარდგენას და დაცვას მეცნიერ-ხელმძღვანელის წინაშე (შეფასების კრიტერიუმები თან ერთვის).
- > დასკვნით შეფასებას (40%) ატარებს უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს ბიურო და ეფუძნება დოქტორანტის თვითშეფასება-ანგარიშს და მეცნიერ-ხელმძღვანელის შეფასება-ანგარიშს (შეფასების კრიტერიუმები თან ერთვის).

3. დისერტაციის მომზადება-3. კრედიტი – 30, სასწავლო კვირა – 19.

მიზანია:

- > დოქტორანტმა მოახდინოს კვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზი და განზოგადება, გამოავლინოს არგუმენტირებული მსჯელობის უნარი საკუთარი ცოდნის კონტექსტში.

დოქტორანტმა უნდა შეძლოს:

- ა) საკუთარი კვლევის კრიტიკული დახასიათება, კვლევის პროცესში წარმოშობილი სირთულეების, გათვალისწინებელი ფაქტორების, შეზღუდვების და ამ უკანასკნელის გავლენის ანალიზი და შეფასება კვლევის შედეგებზე;
- ბ) სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე სხვადასხვა იდეების, თეორიებისა და კონცეფციების კრიტიკული ანალიზი და შეფასება კვლევის შედეგებთან მიმართებით;
- გ) დარგის თეორიული და პრაქტიკული მიმართულებების განვითარებისათვის საკუთარი იდეების/დებულებების/მიდგომების/თეორიების (და მისთ.) წარმოჩენა, ღირებულებათა დასამკვიდრებლად ახალი მეთოდების დემონსტრირება არსებული ცოდნისა და ახალი გამოცდილების კონტექსტში;
- დ) საკუთარი იდეების/კვლევის შედეგების სტრუქტურირება, სამეცნიერო სტატიის ფორმატით და წარდგენა სამეცნიერო საზოგადოების წინაშე.

შეფასება:

- შუალედური შეფასება (60%) მოიცავს ორ კომპონენტს: სამეცნიერო სტატიის მომზადება (10%). შესრულებული სადისერტაციო ნაშრომის დაგეგმილი ნაწილის შეფასება (50%) მეცნიერ-ხელმძღვანელის მიერ (შეფასების კრიტერიუმები თან ერთვის).
- დასკვნით შეფასებას (40%) ატარებს უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს ბიურო და ეფუძნება დოქტორანტის თვითშეფასება-ანგარიშს და მეცნიერ-ხელმძღვანელის შეფასება-ანგარიშს (შეფასების კრიტერიუმები თან ერთვის).

4. დისერტაციის მომზადება და დაცვა, კრედიტი – 25, სასწავლო კვირა – 26.

მიზანია:

- გამოვლინდეს დოქტორანტის ახალი ცოდნის ხარისხობრივი ფარგლები, კვლევის უნარი, დარგის სამეცნიერო და პრაქტიკული მიმართულებით განვითარების პერსპექტივის ხედვით.
- გამოიკვეთოს დოქტორანტის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერის პროფილი, სადისერტაციო ნაშრომისა და მეცნიერ-ექსპერტებთან აქტიური დებატების/კომუნიკაციის საფუძველზე.

დოქტორანტმა უნდა შეძლოს:

- ა) უცხოურ ენაზე საკუთარი იდეების, შეხედულებების, კვლევის შედეგების წარდგენა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წინაშე, მათთან თემატურ დებატებში მონაწილეობა;
- ბ) სადისერტაციო ნაშრომის შეჯამება – კვლევის შედეგებისა და, ზოგადად, დისერტაციის საკვანძო საკითხების მკაფიოდ ფორმულირება, დასკვნების ჩამოყალიბება, კვლევის შედეგად გაკეთებული აღმოჩენების/მიგნებების დასაბუთება და მოახდინოს მეცნიერული სიახლეების გამოკვეთა, შესრულებული სამუშაოს გაფილტვრა, მისი სტრუქტურირება ლოგიკური მთლიანობის უზრუნველყოფით, სამეცნიერო სტილისა და ფორმალური სტანდარტების დაცვით;
- გ) საკუთარ ნაშრომს მისცეს პრეზენტაბელური სახე, რომელიც დააკმაყოფილებს სადოქტორო დისერტაციისთვის წაყენებულ არსობრივ და ფორმალურ მოთხოვნებს;
- დ) უახლესი საპრეზენტაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ზეპირი ფორმით, საატესტაციო-საექსპერტო კომიტეტის წინაშე, ნაშრომის წარდგენა (ორგანიზაციული ასპექტების ჩათვლით) და დაცვა – გამოკვეთოს კვლევის შედეგების საკვანძო საკითხები, დინამურად, გასაგები ენითა და სამეცნიერო ეთიკის დაცვით წარმოაჩინოს საკუთარი მიღწევები/სიახლეები, სრული წარმოდგენა შექმნას საკუთარი ცოდნის დონისა და კვლევითი უნარის შესახებ;
- ე) ჩაებას მეცნიერულ დისკუსიაში, დამაჯერებლად, არგუმენტირებულად დაიცვას საკუთარი დებულებები, შენიშვნებსა და დასმულ კითხვებს უპასუხოს სხარტად, ლაკონურად, არგუმენტირებულად.

შეფასება:

- ა) შუალედური შეფასების ელემენტი (70%), თავის მხრივ, იყოფა ორ კომპონენტად:
- პირველი კომპონენტი (5%) გულისხმობს დისერტაციის ენობრივ და სტილისტურ შეფასებას (კრიტერიუმები თან ერთვის).
 - მეორე კომპონენტი (65%) გულისხმობს დისერტაციის არსებით შეფასებას, რომელსაც ახორციელებს მეცნიერ-ხელმძღვანელი და სადისერტაციო საბჭოს ბიუროს მიერ დამტკიცებული ორი შემფასებელი, ინტერდისციპლინარული ნაშრომის შემთხვევაში - დამატებით ერთი შემფასებელი, შესაბამისი დარგიდან (კრიტერიუმები თან ერთვის).
- ბ) დასკვნითი შეფასების ელემენტი (30%) გულისხმობს, დისერტაციის დაცვის შედეგებით, საატესტაციო-საექსპერტო კომიტეტის წევრების მიერ ინდივიდუალური შეფასების გაკეთებას (კრიტერიუმები თან ერთვის). სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, დოქტორანტს, მდგომარეობის გამოსასწორებლად, ეძლევა გარკვეული ვადა, არაუმეტეს 30 დღისა. ვადის გასვლის შემდეგ, დისერტაცია იმავე პროცედურის დაცვით, წარედგინება საატესტაციო-საექსპერტო კომიტეტს. განმეორებით უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, შეფასება საბოლოოდ ჩაითვლება და წარედგინება სადისერტაციო საბჭოს დასამტკიცებლად.

3. შეფასების სისტემა

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია დოქტორანტის მიერ დაგეგმილი სწავლისა დაკვლევის შედეგების საფუძველზე, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-4 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
2. დოქტორანტის გაწეული სწავლის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:
 - ა. შუალედურ შეფასებებს;
 - ბ. დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
4. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81% - 90%
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71% - 80%
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61% - 70%
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51% - 60%

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41% - 50%, რაც იმას ნიშნავს, რომ დოქტორანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც იმას ნიშნავს, რომ დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას დისციპლინა ახლიდან აქვს შესასწავლი.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.
6. სწავლის შედეგების FX-ით შეფასებისას, დამატებით გამოცდაზე გასვლა შესაძლებელია იმავე სემესტრში, ერთხელ, გამოცდიდან ერთი თვის ვადაში, მაგრამ არანაკლებ 10 დღის შუალედით. წარუმატებლობის შემთხვევაში, კონკრეტული სასწავლო კურსი, დოქტორანტმა ხელმეორედ უნდა გაიაროს.
7. F-ით შეფასების შემთხვევაში გადაბარება მოკლე დროში არ დაიშვება. სასწავლო კურსი ხელმეორედ უნდა იქნას გაეკლილი.
8. სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისათვის გამოიყენება განსხვავებული სისტემა:
 - ა) ფრიადი, 91-100 (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
 - ბ) ძალიან კარგი, 81-90 (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
 - გ) კარგი, 71-80 (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
 - დ) საშუალო, 61-70 (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
 - ე) დამაკმაყოფილებელი, 51-60 (rite) – შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
 - ვ) არადამაკმაყოფილებელი, 41-50 (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
 - ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი, 0-40 (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულად ვერ აკმაყოფილებს.
9. მე-8 პუნქტის “ა” – “ე” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

10. მე-8 პუნქტის “ვ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.
11. მე-8 პუნქტის “ზ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
12. იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომი უარყოფითი შეფასება პლაგიატით ან მონაცემთა გაყალბებით არის გამოწვეული, საკითხს იხილავს სადისერტაციო საბჭო, რომელსაც შეიძლება დაესწროს დოქტორანტი, მეცნიერ-ხელმძღვანელი და შემფასებელი. ფაქტის დადასტურების შემთხვევაში საბჭო აღძრავს შეამდგომლობას რექტორის წინაშე სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ.
13. იმ შემთხვევაში თუ სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე არ დადასტურება პლაგიატი ან მონაცემთა გაყალბება, ან საექვო გახდება ფაქტის არსებობა, გამოიყოფა ახალი შემფასებლები.
14. განმეორებითი შეფასების დროს, მე-12 პუნქტით გათვალისწინებული ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, დოქტორანტს უპირობოდ უწყდება სტატუსი.
15. დისერტაციის შეფასების გაანგარიშება:
 - ა) შემფასებლების მიერ წარმოდგენილი შეფასებებიდან მიღებული ქულები ჯამდება და იყოფა იმ რაოდენობაზე, რამდენმა შემფასებელმაც შეაფასა ნაშრომი. მიღებული ქულა მრავლდება კომპონენტის ხვედრით წილზე (65%).
 - ბ) ენისა და სტილის შემფასებლის შეფასებით მიღებული ქულა მრავლდება კომპონენტის ხვედრით წილზე (5%).
 - გ) მე-15 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის ანალოგიურად ჯამდება საატესტაციო-საექსპერტო კომიტეტის წევრების მიერ გაკეთებული შეფასებები. მიღებული ქულა მრავლდება კომპონენტის ხვედრით წილზე (30%).
 - დ) მე-15 პუნქტის “ა-გ” ქვეპუნქტებით მიღებული შედეგები ჯამდება და მიიღება ნაშრომის შეფასების საბოლოო ქულა.

4. დისერტაციის დაცვის წინა პირობები

დისერტაციის დაცვაზე დაშვებისათვის საჭიროა შემდეგი წინა პირობების არსებობა:

1. დოქტორანტს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს პროგრამით განსაზღვრული ყველა გამოცდა შესაბამისი კრედიტების მიღებით.
2. დაცული უნდა ჰქონდეს კოლოკიუმით გათვალისწინებული კვლევითი პროექტები შესაბამისი კრედიტების მიღებით.
3. დისერტაცია შეფასებულ უნდა იქნას ყველა კომპონენტის მიხედვით.
4. უნდა არსებობდეს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის ექსპერტული დასკვნა ფორმალურ სტანდარტებთან ნაშრომის შესაბამისობის შესახებ.

5. გამოქვეყნებულ უნდა იყოს:

ა) კოლოკვიუმის ფარგლებში დამუშავებული ერთი სტატია რეფერირებად გამოცემაში და ერთი სამეცნიერო მოხსენება/თეზისი საერთაშორისო ფორუმის მასალების კრებულში ან ერთი წიგნი (A5 ფორმატის არანაკლებ 80 გვერდი) ორიდან ერთი უცხოელი ექსპერტის რეცენზირებით.

ბ) დისერტაცია 3-ის ფარგლებში დამუშავებული ერთი სტატია საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში ან ერთი მოხსენება/თეზისი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის მასალების კრებულში (ფორუმში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით) ან სამეცნიერო კვლევითი ნაშრომი / რეზიუმე (დისერტაციის კვლევის ძირითადი შედეგების აღწერა), რომლის ერთ-ერთი შემფასებელი უცხოელი ექსპერტია.

6. მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები წარდგენილ უნდა იქნას ასლის სახით, რომლის სისწორეს, დედანთან შედარების შემდეგ, დაადასტურებს სწავლული მდივანი.

5. დისერტაციის წარდგენის პროცედურა

1. მე-6 სემესტრის მე-18 კვირის დასაწყისში სადისერტაციო ნაშრომის 5 ეგზემპლარი, CD ვერსიასთან ერთად, გადაეცემა უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივნის ოფისს.

2. დისერტაციას თან უნდა ახლდეს გაფართოვებული რეზიუმე (ნაშრომის შემოკლებული ვერსია A5 ფორმატის 30 გვერდამდე) ქართულ და ერთ-ერთ ევროპულ სამეცნიერო ენაზე, CD ვერსიასთან ერთად.

3. ოთხი სამუშაო დღის ვადაში, წარმოდგენილი ეგზემპლარებიდან, ერთი ეგზემპლარი და სამი რეზიუმე, ელექტრონულ მატარებლებთან ერთად, გადაეცემა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას. თითო ასლი გაეგზავნება შემფასებლებს, ხოლო რეზიუმეს ელექტრონული ვერსია განთავსდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

4. ნაშრომის შეფასებებისათვის განკუთვნილია მე-19 – 24-ე კვირა.

5. მე-6 სემესტრის 26-ე კვირის ბოლოს ტარდება დისერტაციის დაცვა საატესტაციო-საექსპერტო კომპიტეტის ღია სხდომაზე, რომლის თარიღი განისაზღვრება დეკანის ბრძანებით.

6. იმ შემთხვევაში, თუ დისერტაციის კვლევითი ნაწილის (შინაარსის) შეფასებებიდან ერთ-ერთი უარყოფითია, დისერტანტი დაცვაზე არ დაიშვება.

6. კოლოკვიუმი

1. კოლოკვიუმი სადოქტორო პროგრამის სავალდებულო სამეცნიერო კომპონენტია, რომელიც გულისხმობს დოქტორანტის მონაწილეობას დისკუსიებში და საკუთარი კვლევის შედეგების პრეზენტაციას.

2. დოქტორანტი ვალდებულია გაიაროს ორი კოლოკვიუმი (კოლოკვიუმი-1, კოლოკვიუმი-2) და მიიღოს შესაბამისი კრედიტები.
3. კოლოკვიუმი-1, კრედიტი – 10, სასწავლო კვირა – 19.

მიზანია:

დოქტორანტმა გაიაროს საკვლევი სფეროს დარგის/ქვედარგის აქტუალური პრობლემატიკა, განახორციელოს დამოუკიდებელი კვლევა და მოახდინოს შედეგების კომპაქტური სახით სტრუქტურირება.

დოქტორანტმა უნდა შეძლოს:

- დამოუკიდებელი კვლევის განხორციელება (მეცნიერ-ხელმძღვანელთან კონსულტაციით) და, რეფერირებადი გამოცემის მოთხოვნების დაცვით, სტატიის სახით მომზადება-წარდგენა.
- დისკუსიაში მონაწილეობის მიღება, მეცნიერული მსჯელობა საკვლევი სფეროს დარგის/ქვედარგის აქტუალურ საკითხებზე.

შეფასება:

- შუალედური შეფასება (60%) გულისხმობს სტატიის ორი ექსპერტის მიერ შეფასებას (კრიტერიუმები თან ერთვის).
- დასკვნითი შეფასება (40%) ხორციელდება კოლოკვიუმის ღია სხდომაზე ნაშრომის ზეპირი პრეზენტაციით, საპრეზენტაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. შეფასებას ახდენს დეკანის მიერ დამტკიცებული კომისია (შეფასების კრიტერიუმები თან ერთვის).

4. კოლოკვიუმი-2, კრედიტი – 10, სასწავლო კვირა – 19.

მიზანია:

დოქტორანტმა ჩაატაროს დამოუკიდებელი კვლევა საკუთარი კვლევის სფეროს ფარგლებში და მოახდინოს შედეგების სტრუქტურირება ერთ-ერთ ვეროპულ სამეცნიერო ენაზე.

დოქტორანტმა უნდა შეძლოს:

- დამოუკიდებელი კვლევის განხორციელება (მეცნიერ-ხელმძღვანელთან კონსულტაციით) და კვლევის შედეგების სამეცნიერო მოხსენების ფორმატით სტრუქტურირება ერთ-ერთ ვეროპულ სამეცნიერო ენაზე, რომელიც განკუთვნილი იქნება საერთაშორისო ფორუმზე წარსადგენად.

- სამეცნიერო საზოგადოების წინაშე საკუთარი კვლევის შედეგების დაცვა ერთ-ერთ ევროპულ სამეცნიერო ენის გამოყენებით, დისკუსიაში მონაწილეობა, არგუმენტებითა და კონტრარგუმენტებით ოპერირება.

შეფასება:

- შუალედური შეფასება (60%) ხორციელდება მეცნიერ-ხელმძღვანელის მიერ სამეცნიერო მოხსენების შეფასებით (კრიტერიუმები თან ერთვის).
 - დასკვნითი შეფასება (40%) ხორციელდება კოლოკვიუმის ღია სხდომაზე, ზეპირი პრეზენტაციით ერთ-ერთ ევროპულ სამეცნიერო ენაზე საპრეზენტაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. შეფასებას ახდენს დეკანის მიერ დამტკიცებული კომისია (შეფასების კრიტერიუმები თან ერთვის).
5. კოლოკვიუმზე დოქტორანტს შეუძლია წარადგინოს სამეცნიერო-კვლევითი პროექტი (A5 ფორმატის არანაკლებ 80 გვერდი), რომელიც შეიძლება წარდგენილ იქნას გამოსაცემად წიგნის სახით. დადებითი შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება 20 კრედიტი. პროექტი შეიძლება შესრულებული იყოს საგრანტო ჯგუფური კვლევის ფარგლებში ან დამოუკიდებლად, როგორც დარგის/ქვედარგის, ისე საკუთარი კვლევის პრობლემატიკასთან მიმართებით.